



აუდიტორული დასკვნა

შპს ოქეის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წელი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	10
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
1.ზოგადი ინფორმაცია.....	13
2. რესტრუქტურისზაცია.....	14
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა.....	14
4. კრიტიკული საანგარიშგებო შეფასებები და დასკვნები	26
5. შემოსავალი	28
6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	28
7. გაყიდვის ხარჯები	29
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	29
9. სხვა ხარჯები.....	30
10. ცვლილებები რეზერვებსა და საგარანტიო ვალდებულებებში	31
11. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	32
12. ფინანსური ხარჯი	32
13. გრძელვადიანი აქტივები	33
14. მარაგები.....	33
15. წილი ერთობლივ საწარმოში.....	34
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	34
17. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35
18. ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	36
19. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	36
20. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	40

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „ოქეი“

ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გამოიჯნულ იქნას ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს „ოქეი“ - ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ივარაუდება, რომ კომპანია გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის შემუშავებაზე, დანერგვისა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, ქმედებებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

შპს „ოქეს“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საანგარიშგებო პერიოდი რომელიც დასრულებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბერს, დამტკიცებულ იქნა მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:

დავით დოლიძე

დირექტორი

თბილისი, საქართველო

შპს „ოქეის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საანგარიშგებო პერიოდი რომელიც დასრულებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბერს, დამტკიცებულ იქნა მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.

მენეჯმენტის სახელით:



დავით დოლიძე

დირექტორი

თბილისი, საქართველო



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოქეი“-ს პარტნიორებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოქეი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აბზაცში განხილული არასრულყოფილი განმარტებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ოქეი“-ს - ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA). ამ სტანდარტების შესაბამისად, ჩვენი ვალდებულება შემდგომში აღწერილია მოცემული ანგარიშის ფინანსური განაცხადის აუდიტის აუდიტორის ვალდებულების სექციაში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრების კოდექსის საერთაშორისო ეთიკის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად (IESBA კოდექსი) ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომელიც შესაბამისია საქართველოში ფინანსური ანგარიშგებას ჩვენი აუდიტისათვის, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური ვალდებულებები მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად.

ჩვენ გვჯერა, რომ აუდიტის მტკიცებულებები, რაც ჩვენს მიერ იქნა მოპოვებული არის საკმარისი და შესაბამისი, რათა იყოს საფუძველი ჩვენი მოსაზრებისათვის.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის ინვესტიცია მის ერთობლივ საწარმოში შპს „ალტაოქეი“-ში აღრიცხულია ღირებულებით 2,500,00 ლარი. კომპანია არ აღრიცხავს მოგების წილს ერთობლივ კომპანიაში, ისევე როგორ არ შეამცირა შემოსავალი და გაყიდული პროდუქციის ღირებულება; კომპანიამ არ გააუქმა თავისი წილი მისი არარეალიზებული მოგებით ერთობლივ საწარმოში, ისევე როგორც არ წარმოუდგენია შეჯამებული საფინანსო ინფორმაცია მისი ერთობლივი საწარმოს შესახებ. ყველა ეს ქმედება წარმოადგენს IFRS 28-იდან გადახვევას. თუ მენეჯმენტს შეეყვანილი ექნებოდა ეს კორექტირებები, ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში იქნებოდა განცხადებული შემოსავალი და გაყიდული პროდუქტის ხარჯი შემცირდებოდა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული

რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობებით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორსთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონტროლი გარემოების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ოქეი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ოქეი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ .

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავთ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობებთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს ავღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია

ხელმძღვანელებისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისაგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს

ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად. კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დიმიტრი ზარიძე.

აუდიტორი

დიმიტრი ზარიძე

SARAS-A-257221

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

28 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო

ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად. კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დიმიტრი ზარიძე.

აუდიტორი

დიმიტრი ზარიძე

SARAS-A-257221

შპს „ცერცვაძე და კომპანია“

28 სექტემბერი 2019

თბილისი, საქართველო



შპს „ოქეი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018
შემოსავალი	5	47,551,041.24
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(45,256,200.19)
საერთო მოგება		2,294,841.05
გაყიდვის ხარჯები	7	(753,535.07)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,064,576.74)
სხვა ხარჯები	9	(989,136.14)
ცვლილებები ანარიცხებსა და გარანტიის ვალდებულებებში	10	321,071.73
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11	2,928,420.31
საოპერაციო მოგება		1,737,085.14
საპროცენტო შემოსავალი	12	4,083.59
ფინანსური ხარჯები	13	(1,095,452.51)
უცხოური ვალუტის კონვერსიის მოგება/ (ზარალი)		(304,671.98)
მოგების წილი ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან	14	1,300,000.00
მოგება დაბეგვრამდე		1,641,044.24
წმინდა მოგება (ზარალი)		1,641,044.24

დავით დოლიძე

დირექტორი

შპს „ოქეის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შპს „ოქეი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2018
შემოსავალი	5	47,551,041.24
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(45,256,200.19)
საერთო მოგება		2,294,841.05
გაყიდვის ხარჯები	7	(753,535.07)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,064,576.74)
სხვა ხარჯები	9	(989,136.14)
ცვლილებები ანარიცხებსა და გარანტიის ვალდებულებებში	10	321,071.73
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11	2,928,420.31
საოპერაციო მოგება		1,737,085.14
საპროცენტო შემოსავალი	12	4,083.59
ფინანსური ხარჯები	13	(1,095,452.51)
უცხოური ვალუტის კონვერსიის მოგება/ (ზარალი)		(304,671.98)
მოგების წილი ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან	14	1,300,000.00
მოგება დაბეგვრამდე		1,641,044.24
წმინდა მოგება (ზარალი)		1,641,044.24

დავით დოლიძე

დირექტორი



შპს „ოქეი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	298,143	241,098
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში	16	2,500,000	2,500,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,798,148	2,741,098
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	17	4,875,112	4,330,862
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	12,146,895	10,697,346
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19	2,460,124	2,556,434
სულ მიმდინარე აქტივები		19,482,131	17,706,432
სულ აქტივები		22,280,279	20,447,530
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		581,961	581,961
გაუნაწილებელი მოგება		6,399,201	4,584,255
სულ საკუთარი კაპიტალი		6,981,162	5,166,216
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	8,875,054.56	8,547,609
საგარანტიო ვალდებულებები	10	-	173,902
სესხის პროცენტი		10,308.05	209,527
საგადასახადო ვალდებულებები		1,531,129.50	1,459,814
მიღებული სესხი		4,882,625.25	4,890,462
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,299,117	15,281,314
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22,280,279	20,447,530

დავით დოლიძე

დირექტორი

შპს „ოქეის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შპს „ოქეი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	298,143	241,098
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში	16	2,500,000	2,500,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,798,148	2,741,098
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	17	4,875,112	4,330,862
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18	12,146,895	10,697,346
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19	2,460,124	2,556,434
სულ მიმდინარე აქტივები		19,482,131	17,706,432
სულ აქტივები		22,280,279	20,447,530
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		581,961	581,961
გაუნაწილებელი მოგება		6,399,201	4,584,255
სულ საკუთარი კაპიტალი		6,981,162	5,166,216
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	8,875,054.56	8,547,609
საგარანტიო ვალდებულებები	10	-	173,902
სესხის პროცენტი		10,308.05	209,527
საგადასახადო ვალდებულებები		1,531,129.50	1,459,814
მიღებული სესხი		4,882,625.25	4,890,462
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,299,117	15,281,314
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22,280,279	20,447,530

დავით დოლიძე

დირექტორი



შპს „ოქეი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი	სულ
		მოგება	
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	581,960.59	4,584,255.49	5,166,216.08
რეზერვების კორექტირება		173,902	
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		1,641,044.24	0
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	581,960.59	6,399,201.42	6,981,162.01

დავით დოლიძე

დირექტორი

შპს „ოქეის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შპს „ოქეი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი	სულ
		მოგება	
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	581,960.59	4,584,255.49	5,166,216.08
რეზერვების კორექტირება		173,902	
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი მოცემული წლისათვის		1,641,044.24	0
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	581,960.59	6,399,201.42	6,981,162.01



დავით დოლიძე

დირექტორი



შპს „ოქეი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2018
ფულის მიღება მომხმარებლებისგან		51,335,617
ფული გადახდილი მომწოდებლებისათვის		-41,109,392
ფული გადახდილი თანამშრომლებისათვის		-1,368,354
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		8,857,871
გადახდილი პროცენტი		-559,798
გადახდილი სხვა გადასახადები		-8,319,093
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი		-21,020
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		
გაცემული სესხები		
გაცემული სესხების დაბრუნება		-471,882.83
წმინდა ნაღდი ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		-471,883
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები		441,177
მიღებული სესხების დაფარვა		
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული/მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		441,177
წმინდა ნაღდი ფულის ან მისი ექვივალენტის გაზრდა/(შემცირება)		-51,726
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		-44,585
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში		2,556,434
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		2,460,124

დავით დოლიძე

დირექტორი

შპს „ოქეის“ ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შპს „ოქეი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2018
ფულის მიღება მომხმარებლებისგან		51,335,617
ფული გადახდილი მომწოდებლებისათვის		-41,109,392
ფული გადახდილი თანამშრომლებისათვის		-1,368,354
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		8,857,871
გადახდილი პროცენტი		-559,798
გადახდილი სხვა გადასახადები		-8,319,093
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი		-21,020
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		
ინვესტიცია ერთობლივ საწარმოებში		
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		
გაცემული სესხები		
გაცემული სესხების დაბრუნება		-471,882.83
წმინდა ნაღდი ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		-471,883
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები		441,177
მიღებული სესხების დაფარვა		
გადახდილი დივიდენდები		
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული/მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		441,177
წმინდა ნაღდი ფულის ან მისი ექვივალენტის გაზრდა/(შემცირება)		-51,726
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		-44,585
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის დასაწყისში		2,556,434
ნაღდი ფული და მისი ექვივალენტი წლის ბოლოს		2,460,124


დავით დოლიძე

დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ოქეი“ (ყოფილი შპს „ევროტექნიქს ჯორჯია“) არის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციის, კანონმდებლობის და მისი წესდების შესაბამისად. კომპანია დაფუძნდა 2008 წლის ოქტომბერში.

კომპანიის მთავარი საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის და აუდიო-ვიდეო პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია.

კომპანია არის ელექტროლუქსის ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში და აქვს უფლება გამოიყენოს ევროპული პრემიუმ ბრენდები AEG, ZANUSSI, Candy. კომპანიას ასევე აქვს Samsung-ის ბრენდის საქართველოში დისტრიბუციის უფლება.

კომპანიის წარმომადგენელია მერაბ წულუკიანი, დირექტორი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: #35 ორბელიანის მოედანი, თბილისი, საქართველო.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი პირები ფლობდნენ კომპანიის აქციებს:

	31 დეკემბერი 2018
ბაადურ კოპლატაძე	25.00%
დავით ჩიქოვანი	18.50%
შოთა გვენეტაძე	22.50%
დავით რამიშვილი	17.00%
კახა ბერაძე	7.50%
მერაბ წულუკიანი	1%
ლერი რამიშვილი	5%
ირაკლი ზამბახიძე	3.5%
სულ	100%

2. რესტრუქტურიზაცია

2016 წლის ივლისსა და აგვისტოში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, შპს OKAY და შპს ALTA დააფუძნეს სს AltaOkay (თითომ 50%-იანი წილით). ახალი სამართლებრივი სუბიექტი ფლობს საცალო ვაჭრობის ქსელს. რეორგანიზაციის შემდეგ შპს OKAY ფლობს მხოლოდ საბითუმო ვაჭრობის უფლებას. რეორგანიზაციის შედეგად, წლის განმავლობაში თითქმის განახევრდა კომპანიის საცალო ვაჭრობა, მაგრამ კომპანიამ ასევე დაზოგა გაყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა მაღაზიის ქირა, გაყიდვებში მონაწილე თანამშრომელთა ხელფასები, სარეკლამო საქმიანობა და საცალო ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ქვემოთ მოყვანილია ბუღალტრული აღრიცხვის ის მთავარი პოლისები, რომელთა გამოყენებაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3.1 მომზადების საფუძველი

შესაბამისობის განაცხადი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარდგენის საფუძველი

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, კომპანია ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებს ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის

თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო

დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

- ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

3.3. უცხოური ვალუტის კონვერტაცია) ფუნქციონალური და პრეზენტაციის ვალუტა

მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია საფინანსო უწყისებში იზომება იმ პირველადი ეკონომიური გარემოს ვალუტა, რომელშიც ოპერირებს კომპანია („ფუნქციონალური ვალუტა“). საფინანსო უწყისები მოცემულია ქართულ ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და საპრეზენტაციო ვალუტას.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსები

უცხოური ვალუტით ჩატარებული ტრანზაქციები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში გაცვლითი კურსით, რომელიც წინ უსწრებდა უშუალოდ ტრანზაქციებს ან შეფასებას, რომლითაც მოხდა ნივთების წინასწარი შეფასება. უცხოური ვალუტის გაცვლის შედეგად მოგება და ზარალი, რომელიც მომდინარეობდა ამგვარი ტრანზაქციების განხორციელებიდან და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების არსებულ გაცვლით კურსთან მიმართებაში აღიარებულ იქნა შემოსავლის უწყისში, გარდა იმისა, როდესაც გამოაკლდა equity-ში, როგორც კვალიფიცირებული იყო ფულადი სახსრების ნაკადის ჰეჯირებაში და კვალიფიცირებული წმინდა საინვესტიციო ჰეჯებში.

უცხოური ვალუტის შემოსავალი და ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებსა და ნაღდი ფულისა და ნაღდის ფულის ექვივალენტებთან ასევე მოცემულია მთლიანი შემოსავლის განაცხადში „უცხოური ვალუდის მოგება/ზარალი“ სხვა უცხოური ვალუტის მოგებასა და ზარალთან.

ქვემოთ ცხრილი წარმოადგენს საბოლოო გაცვლით კურსებს, რომელიც დადგენილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის 31 დეკემბერს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

ფინანსური ინსტრუმენტები ძირითადი შეფასებითი ტერმინები

მათ კლასიფიკაციაზე საფინანსო ინსტრუმენტები ფასდებიან მათი ფაქტიური ღირებულებით, ხარჯით ან ამორტიზაციით ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

საბაზრო ღირებულება არის ის ღირებულება, რომელშიც აქტივი შეიძლება იყოს გაცვლილი, ან ვალდებულებები გასტუმრებული ინფორმირებულ, მსურველ მხარეებს შორის მოკლე მანძილის ტრანზაქციის დროს. საბაზრო ღირებულება არის მიმდინარე მოთხოვნის ფასი საფინანსო აქტივებისათვის და მიმდინარე მოთხოვნის ღირებულება საფინანსო ვალდებულებებისათვის, რომლებიც მოცემულია აქტიურ ბაზარზე. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ითვლება ქვოტირებულად აქტიურ ბაზარზე, თუ ქვოტირებული ფასები ბირჟის ან სხვა დაწესებულების მეშვეობით და ისფასები წარმოადგენენ ფაქტიურ და რეგულარულად მიმდინარე საბაზრო ოპერაციებს ხშირად.

ხარჯი არის ნაღდი ფულის ან ნაღდი ფულის ექვივალენტი, რომელიც გადახდილი იქნა ან საბაზრო ღირებულება სხვა გამოხატულებაში, რომელიც მიცემულ იქნა აქტივის შესაძენად აქტივის შეძენის მომენტში და მოიცავს ტრანზაქციულ ხარჯსაც.

საამორტიზაციო ხარჯი არის მოცულობა, რომლითაც საფინანსო ინსტრუმენტი იქნა აღიარებული საწყისი აღიარებისას გამოკლებული ნებისმიერი ძირითადი გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი და საფინანსო აქტივებს გამოკლები ნებისმიერი ჩამოწერა დამდგარი გაუარესების დანახარჯებისათვის. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციული ხარჯების ამორტიზაციას, რომლებიც იქნა გამოკლებული საწყისი აღიარებისას და ნებისმიერ პრემიას ან

ფასდაკლებას ძირითადი მოცულობიდან ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული პროცენტული შემოსავალი და დარიცხული პროცენტული ხარჯი არ არის წარმოდგენილი ცალ-ცალკე და მოცულია დაკავშირებული უწყისის პუნქტებში შესაბამის მაჩვენებლებში.

ტრანზაქციული ხარჯები არის ინკრემენტალური ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია საფინანსო ინსტრუმენტის შეძენასთან, გამოცემასთან ან გაყიდვასთან. ინკრემენტალურია ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები მოიცავდა გადახდებსა და კომისიებს, რომლებიც იქნა გადახდილი აგენტებისათვის (მათ შორის მუშაკებისათვის, რომლებიც მოქმედებდნენ გაყიდვის აგენტებად), მრჩეველებს, ბროკერებს და დილერებს, საფასურს, რომლებიც დაწესებულია მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების ბირჟების და გადასახადებისა და ბაჟის გადახდას. ტრანზაქციის ხარჯები არ მოიცავს დავალიანების პრემიას ან ფასდაკლებას, საფინანსო დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის დანახარჯებს.

ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები IAS 39-ში კლასიფიცირებულია ან ფინანსურ აქტივებად საბაზრო ღირებულებით მოგების ან ზარალით, სესხებითა და მისაღები თანხებით, ვადიანი ინვესტიციები ან გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას.

საბაზრო ღირებულება მოგებისა და ზარალის ნაწილში

აღნიშნული კატეგორია შედგება მხოლოდ ფულში გამოხატული დერივატივებისაგან. ისინი მოცემულია ფინანსური პოზიციის უწყისში საბაზრო ფასით ცვლილებებით საბაზრო ბასით, რომელიც აღიარებულია განაცხადში მთლიან შემოსავალში ფინანსურ შემოსავალში ან ხარჯის სტრიქონში. გარდა დერივატივისა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის განსაზღვრული, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, კომპანიას არ აქვს რამე აქტივები, სავაჭროდ არც ნებაყოფლობით კლასიფიცირებული რამე ფინანსური აქტივები, როგორც საბაზრო ფასად მოგების ან ზარალის ნაწილში.

ვადიანი ინვესტიციები

არა-დერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით და ფიქსირებული ვადით კლასიფიცირდება, როგორც ვადიანი, როდესაც კომპანიას აქვს დადებითი განზრახვა და შესაძლებლობა ვადის გასვლამდე შეინახოს ისინი. კომპანიას არ აქვს რამე აქტივები კლასიფიცირებული, როგორც ვადამდე შენახული.

სესხები და მისაღები სახსრები

აღნიშნული აქტივები არიან არადერივატიული ფინანსურ აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან ქვოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი

წარმოიქმნებიან ძირითადად კლიენტებისათვის საქონლის მიყიდვისა და მომსახურების მიწოდებისგან (მაგ. ვაჭრობისგან მისაღები თანხები), მაგრამ ამასთანავე მოიცავენ კონტრაქტული მონეტარული აქტივების სხვა ტიპებსაც. ისინი თავდაპირველად აღიარებული არიან ლიკვიდური ღირებულებით დამატებული ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეწერება მათ შეძენა ან გამოცემას, და შესაბამისად გამოიხატება ამორტიზებულ ხარჯში ეფექტური პროცენტის განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ცვეთის დარეზერვების გამოკლებით.

ცვეთის დარეზერვების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური დადასტურება (როგორიცაა მნიშვნელოვანი ფინანსური სიმწელებები კონტრაგენტის მხრიდან ან გადახდის შეუძლებლობა ან მნიშვნელოვანი დაგვიანება) რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა კუთვნილ თანხებს მიღების პირობებიდან გამოდინარე, ამგვარი დარეზერვების მოცულობა წარმოადგენს რა სხვაობას წმინდა სააღრიცხვო ღირებულებას (carrying amount) და მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის, რომელიც დაკავშირებულია მისაღებ თანხასთან. ვაჭრობის ნაწილში მისაღებ თანხებთან დაკავშირებით, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის მოცემული, ამგვარი დარეზერვება შეიტანება ცალკე (allowance) ანგარიშზე ზარალთან ერთად, რომლის აღიარება ხდება ადმინისტრაციულ ხარჯებში მთლიანი შემოსავლის უწყისში. დადასტურებისას იმისა, რომ სავაჭრო მისაღები თანხების მიღება ვერ ხდება, აქტივის გროს საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება დაკავშირებული დარეზერვებით.

გაყიდვისათვის მზაობა

